

Sumeruli

poezia

a

შუმერულიდან თარგმნა ნინო სამსონიამ

რედაქტორი აკად. თამაზ გამყრელიძე

## **Sumerian Poetry**

translated by

Nino Samsonia

editor

Thomas V. Gamkrelidze

Department of Assyriology Tbilisi State University

## a სარჩევი

წინათქმა	5
<b>ენსელუნანს პოეზია</b>	17
წინასიტყვაობა	20
ინანა და ებიხი	40
ინანა სამყაროს გული	51
ინანა მეცხრე ცაზე	67
<b>შუგარული ეპოსები</b>	77
წინასიტყვაობა	79
ენმერქარი და ენსუხგირანა	101
ენმერქარი და არათას ბატონი	119
ლუგალბანდა უდაბურ მთებში	156
ლუგალბანდა და ანზუდი	183
ლექსიკონი	205



## a წინათქმა

მკითხველს, რომლისთვისაც უცნობია შუმერული პოეტური სიტყვა, ეს წიგნი გაუწევს პირველ მეგზურობას შუმერული ლიტერატურის სამყაროში და აზიარებს მის მასშტაბს, სირთულესა და დახვეწილობას. რამდენადაც ჯერაც არ არის ბოლომდე ახსნილი და სრულყოფილად გამოკვლეული შუმერული ეპოსის საიდუმლო, ქართველი მკითხველი თავად გახდება მისი პირველი აღმქმელიც და შემფასებელიც. ჩვენი მიზანია ფართო სპექტრით წარმოგიდგინოთ შუმერული ლიტერატურის ფასდაუდებელი ძეგლები იმ ისტორიულ კონტექსტში, რომელშიც იგი ჩაისახა და განვითარდა.

შუმერული და აქადური ტექსტები ითარგმნება ლურსმული ტექსტის ტრანსლიტერაციიდან. ტრანსლიტერაცია (ლათინური შრიფტით ლურსმული ნიშნების გადმოტანა) სიტყვებისა და მარცვლების დეფიზიტ გაშორებულ წყებას წარმოადგენს, რაც ქმნის სიტყვას ან გრამატიკულ კომპლექსს. ჰომოფონური ნიშნები გამოირჩევა მახვილით ან რიცხვითი ნუმერაციით, ხოლო დეტერმინატივები იწერება სიტყვის დასაწყისში, ზემოთ, პატარა შრიფტით. ასევე, შესაბამისი სიმბოლოებით, შეძლებისდაგვარად, აღდგენილია პრონონსი (შ=წ; ხ=ჩ; ნგ=ჭ და ა.შ.). ევროპელი მკვლევარები შუმერული ენის პრონონსს აღნიშნავენ ტრანსლიტერა-

ციის სულ რამდენიმე ნიშნით. შესაბამისად, ასეთი ტექსტის ჟღერადობაც ერთგვარია.

პირველი ქართველი ასირიოლოგი მიხაკო წერეთელი შუმერული ლექსიკის გაშიფვრისას აღადგენს ყველა ბგერას, რომელიც ფიქსირდება ქართველურ ენებში. წერეთლისეული მიდგომა შუმერული ტექსტებისადმი უცხოელ შუმეროლოგთათვის გადაულახავ სირთულედ რჩება. მიხაკო წერეთელი გახლავთ პირველი, რომელმაც წარმოგვიდგინა შუმერული და ქართველური ენების შედარებითი ანალიზი. იგი კვლავ რჩება ერთადერთ მკვლევარად, რომელიც ფლობდა ყველა ქართველურ ენას და ყველა ძველადმოსავლურ ლურსმულ დამწერლობას. მასვე ეკუთვნის „გილგამეშის ეპოსის“ 1924 წელს შესრულებული პირველი ქართული თარგმანი. მიხაკო წერეთელი შუმერულ ლურსმულ ტექსტებში ბგერებს აღადგენს შემდეგნაირად: შ=ზ; თ=ყ; ც=q<sup>+</sup>; ხ=q<sup>+</sup> (ხ=ღ); ფ=p; ღ=გ; ყ=K<sup>+</sup>; ჭ=t<sup>3</sup>; ჩ=q<sup>+</sup>; ძ=d<sup>3</sup>; ც=t<sup>+</sup>; ნ=t<sup>+</sup>; იგი შუმერული ტექსტების ტრანსლიტერაციაში ისეთ ბგერებს აღადგენს, როგორებიცაა: ნ, ყ, ჭ, ხ ქართველურ ენებში. შესაბამისად, წერეთელი გვთავაზობს ბგერათა შესატყვისობის მისეულ კანონს შუმერულსა და ქართველურ ენებს შორის.<sup>1</sup>

ლიტერატურული კულტურა მსოფლიო ისტორიაში სათავეს იღებს შუმერში. იქ ლურსმულ დამწერლობას იგივე დანიშნულება ჰქონდა, რაც თანამედროვე დამწერლობებს დღევანდელ

---

<sup>1</sup> Samsonia N. Sumerian and Georgian Lexical Parallels, Bulletin of the AGIBAS, American-Georgian Institute of Biblical and Archaeological Studies #2-3, Cornell University 2004-5, p.44-49.

მსოფლიოში. ლუსრმული დამწერლობით შექმნილი ტექსტების ნიმუშები შემონახულია ძვ.წ. 3100 წლით დათარიღებულ დოკუმენტებში, ხოლო ფირფიტებზე დანერილი პოეტური ტექსტები განეკუთვნება ძვ.წ. 2500 წლიდან ძვ.წ. 500 წლამდე პერიოდს. როგორც ვხედავთ, ეს პერიოდი ორ ათასწლეულს მოიცავს.

ბაბილონელები და ასურელები არიან მემკვიდრეები შუმერული ცივილიზაციისა, რომლის ფესვები, თუ უფრო ადრე არა, ძვ.წ. IV ათასწლეულში მაინც უნდა ვეძებოთ.

შუმერული ეპოსები გამოირჩევა უმდიდრესი მეტაფორული ენით. მისი შეცნობისა და თარგმნის გასაღები სწორედ ამ მეტაფორების ახსნაში უნდა ვეძებოთ. მეტაფორა კი, მოგვსენებათ, ყველა ენისათვის ენდემურია.

მეტაფორული მეტყველების თვალსაზრისით, ჩვენს წიგნში უმდიდრესი მასალაა წარმოდგენილი ლუგალბანდას ორი პოემის სახით: „ლუგალბანდა უდაბურ მთებში“ და „ლუგალბანდა და ან-ზუდი“. ამ ეპოსების მთავარი გმირია ლუგალბანდა და გიგანტური ფრინველი ან-ზუდი, რომელიც მითიური ფრინველის წინაპრად არის მიჩნეული არაბული „ათას ერთი ღამის“ სინდბადის ამბავში.<sup>1</sup>

მცირედი გამონაკლისის გარდა, შუმერული ლიტერატურა, ძირითადად, პოეტური ტექსტის ფორმით არის შექმნილი. ენაში დამკვიდრებული ეს ფორმა – სტრიქონებად დანერილი ტექსტი, მათი აზროვნებისა და ცნობიერების გამოხატულებაა. სტრიქონები დაწყობილია ზუსტად ისე, როგორც თანამედროვე პოეზია-

---

<sup>1</sup> Black Jeremy, Reading Sumerian Poetry, The Athlone Press, London, 1998.

ში – ისინი მარცხენა მხრიდან ერთმანეთს უსწორდება. უფრო გრძელი სტრიქონის გაყოფისას მინიშნებულია, რომ მეორე ხაზზე გადატანილი ნაწილი არ არის ახალი სტრიქონის დასაწყისი და ის ბოლოში უსწორდება თავის სტრიქონს; ანუ ჩვენ წინაშეა პოეზიის უძველესი სტრუქტურირებული ფორმა. შუმერული პოემები, ძირითადად, არ აღემატებოდა 750 სტრიქონს. ბოლო 100 წლის განმავლობაში მეცნიერთა თავდაუზოგავი შრომის შედეგად, სხვადასხვა ფრაგმენტთა შეჯგერების საფუძველზე, აღდგენილ იქნა ეს კომპოზიციები.

ძველ შუამდინარეთში დამწერლობა გამოიყენებოდა ზეპირსიტყვიერებაში შემონახული ლიტერატურული ტექსტების ჩასაწერად თიხის ფირფიტებზე. შესაბამისად, არსებობდა ამ ტექსტების მრავალი სხვადასხვა ვერსია.

შუმერული ლიტერატურის ისტორიის განვითარების სქემა 1951 წელს ჩამოაყალიბა დიდმა ასირიოლოგმა ა. ფალკენშტაინმა და სწორედ ამ დროიდან დაიწყო მისი დეტალური შესწავლა და დღემდე გრძელდება. შუმერული ლიტერატურის „კლასიკური კორპუსი“ თარიღდება ძვ.წ. 2150-1650 წ.წ.-ით, ანუ ურის III დინასტიის პერიოდიდან ძველბაბილონური პერიოდის ჩათვლით. ამ დროს იწერება შუმერული გრამატიკა, ხდება შუმერული ენის სისტემაში მოყვანა და, შესაბამისად, ხელახლა გადწერა ძველ-შუმერული ტექსტებისა, რომელთა თარგმნაც, მიუხედავად არსებული სირთულეებისა, მაინც შესაძლებელია. შუმერული პოეზიის ძველშუმერული ვერსიების (ძვ.წ. 25-24 ს.ს.) თარგმნა კი, ფაქტობრივად, შეუძლებელია მათი ფრაგმენტულობისა და ენის



კანონების დაუცველობის გამო. ურის III დინასტიის პერიოდთან-ვე იწყება შუმერული პოტური ნიმუშების აქადურად თარგმნაც. შესაბამისად, შუმერული ლიტერატურის ნიმუშების შესწავლა შესაძლებელი გახდა აქადური ლიტერატურის პარალელურად, რაც შედარებით აიოლებს შუმერულ ენასთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევას.

შუმერული პოეზიის ნიმუშების თარგმნა-შესწავლა უპირველესად ეფუძნება ტექნიკური ხასიათის მიდგომას, რაც პირველ ეტაპზე გულისხმობს ტექსტის მცირე ჩარჩოებით დამუშავებას. ვაკვირდებით სიტყვის ფორმირებას ეპოსის ერთ ან ორ სტრიქონში. შესაძლოა სტრიქონები დაწყვილდეს ან ტექსტი დაიყოს სამი-ოთხი სტრიქონისგან შემდგარ ნაწილებად, შინაარსობრივად დასრულებული მონაკვეთების, „ჟღერადობის“, სტრუქტურის, ასევე ასონანსის, ალიტერაციის ან რითმის შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ არც შუმერული და არც აქადური ეპოსი არ არის რითმაზე დაფუძნებული, მათში მაინც ვაწყდებით მსგავს ეფექტებს. ეს განსაკუთრებით იკვეთება სიუჟეტის კულმინაციურ ეპიზოდებში ან მაშინ, როცა ავტორს რაიმე გამორჩეულად მნიშვნელოვანის თქმა სურს.

შუმერული ეპოსების შესწავლისადმი მეორე და უმთავრესი მიდგომა გულისხმობს მთლიანად პოემის სტრუქტურის ანალიზს. სიუჟეტის აგების კანონზომიერება და თხრობის მანერა ცხადყოფს, რომ საქმე გვაქვს მკაცრად სტრუქტურირებულ ლიტერატურულ ჟანრთან. თუმცა, იმისათვის, რომ ღრმად ჩავწვდეთ შუმერული პოეზიას, უმთავრესი მაინც იმ მეტაფორული

ენის გაგება და ახსნა, რომლითაც უმდიდრესია ლუგალბანდას პოემები. ამ ფაქტორზე პირველად ყურადღება გაამახვილა გამოჩენილმა ასირიოლოგმა ს. კრამერმა, რომელმაც სათავე დაუდო ამ ეპოსების ქვეტექსტების ამოხსნას.

შუმერული პოეზიის მდიდარი მეტაფორული ენა გამოდახილს პოულობს აქადურ ლიტერატურაში, როგორც მკვლევარნი უწოდებენ – მის „ტყუპისცალს ლიტერატურაში“. ურის III დინასტიის პერიოდიდან ყალიბდება შუმერულ-აქადური ბილინგვური კულტურა, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, შუმერული ლიტერატურა საუკუნეებით უფრო ძველია აქადურზე. შესაბამისად, შუმერული პოეზიის ლიტერატურული „კოდის“ გაიშიფვრა შესაძლებელია აქადურ ლიტერატურაში. ასევე საყურადღებოა, რომ ხშირად ძალიან ბუნდოვანია განსხვავება ორ მხატვრულ ხერხს – შედარებასა და მეტაფორას შორის. შუმერული ლიტერატურის „სიმბოლოთა კოდის“ გაიშიფვრაში მთავარი გასაღები მაინც მეტაფორაა. პოემებში პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობით გამოყენებული ლექსიკა თუ ფრაზეოლოგია ისე ერწყმის ერთმანეთს, როგორც თბილი და ცივი წყლის დინებები მდინარეში. მაგალითად, რა იგულისხმება ფრაზაში „ღმერთის ბოსელი“, ტაძრის კუთვნილი საქონელი თუ ვარსკვლავები ღამის ცაზე?<sup>1</sup>

შუმერულ ტექსტებზე მუშაობისას მთავარ სირთულეს სამწერლობო ტრადიციის არარსებობა წარმოადგენს. არ გვაქვს ინფორმაცია, თუ ვისგან და საიდან გადაიწერა ავტორმა ტექსტი.

---

<sup>1</sup> Black Jeremy, Reading Sumerian Poetry, The Athlone Press, London, 1998, p.13.

შესაძლოა ფირფიტის კოლოფონებში დაცული ყოფილიყო რაიმე ინფორმაცია ტექსტის წარმომავლობის, ისტორიის, ასევე ხელნაწერის სხვადასხვა ვარიანტების შესახებ, მაგრამ გადამწერისთვის, როგორც ჩანს, მხოლოდ ტექსტი იყო და არა მის შესახებ არსებული ინფორმაცია. გადამწერი თავად გვევლინება ავტორად, თუმცა ინტერპრეტაციისადმი ასეთი თვითნებური მიდგომის მიუხედავად, ის მაინც არასდროს წერს საკუთარ სახელს.

რაც შეეხება შუმერულ ლიტერატურულ ჟანრებს და სათაურებს, მათი დადგენა შესაძლებელია პოემების პირველი სტრიქონების მიხედვით. მაგალითად, დიდმა ასირიოლოგმა პ. მიხალოვსკიმ მოახერხა „წყევლების“ ტექსტების იდენტიფიცირება სანყისი სიტყვების მიხედვით. მაგალითად, ტექსტზე თანდართული ეტიკეტი *balbale* მიგვანიშნებს, რომ იგი არ არის მშობლიური ლიტერატურული ძეგლი. ამგვარად, პირველივე სტრიქონი არის ერთგვარი განაცხადი, შუმერულია პოემა თუ აქადური.

შუმერული ეპიკური ჟანრი და, საერთოდ, ლიტერატურა დაფუძნებულია ქ. ურუქის ლიტერატურულ ტრადიციაზე. შუმერული ტრადიციით ურუქი ლიტერატურის სამშობლოა. შუმერული მითოლოგიის თანახმად, სწორედ ამ ქალაქში შექმნილა დამწერლობა ურუქის მეფის, ენმერქარის მიერ. მასვე მიეწერება უძველესი ეპოსები, რომელსაც ამ წიგნში წარმოგიდგენთ. ეპოსში „ენმერქარი და არათას ბატონი“ დაფიქსირებულია ენმერქარის მიერ დამწერლობის შექმნის ფაქტი. ენმერქარის შვილი (მემკვიდრე) ყოფილა ლუგალბანდა, რომელიც ამავე დროს ლუგალბანდას პოემებისა და გილგამეშის ეპოსის ეპიკური გმირია, თან

გილგამეშის ეპოსის მთავარი გმირის, თავად გილგამეშის მამაა. ასე რომ, ურუქის ოთხი თაობა – ენმერქარი, ლუგალბანდა, გილგამეში და მათი პირველი წინაპარი მესქიაგაშერი, რომელიც ასევე დაკარგული ეპოსის გმირი ყოფილა, – გვინახავს ქ. ურუქის ლიტერატურულ ტრადიციას, რასაც მომდევნო საუკუნეების განმავლობაში სრულად დაეფუძნა შუმერული და აქადური ლიტერატურა.

ურუქის ლიტერატურული ძეგლები შეიძლება გაიყოს ორ ციკლად: **არათას ციკლი**, სადაც ურუქისა და შორეული არათას ქვეყნის დაპირისპირებაა წარმოდგენილი (ანუ ჩვენ მიერ წარმოდგენილი „შუმერ მეფეთა ეპოსები“) და **გილგამეშის ციკლი**: 5 შუმერული სიმღერა გილგამეშზე (რომელთაც მკითხველი გაეცნობა ზურაბ კიკნაძის თარგმანებში). ამ ორ ციკლს ეფუძნება გილგამეშის ეპოსი, რომელსაც ეპოსის სახე მიეცა მომდევნო, აქადურ პერიოდში და აქადურად ჩაინერა დაახლოებით ძვ.წ. XXIII საუკუნეში.

1972 წლის 3 დეკემბერს მოხდა უმნიშვნელოვანესი ფაქტი მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში – გამოჩნდა ათასწლეულების მანძილზე დაკარგული **„გილგამეშის ეპოსი“**. ამ დღეს ჯორჯ სმიტმა განაცხადი გააკეთა ლონდონში ბიბლიური არქეოლოგიის საზოგადოების შეხვედრაზე და წარადგინა ბრიტანეთის მუზეუმში აღმოჩენილი ეპოსის ნაწილი. სწორედ მაშინ დაედო სათავე გილგამეშის ეპოსის კვლევას, ეპოსისა, რომელიც კაცობრიობის პირველ ეპიკურ ნაწარმოებად არის მიჩნეული. თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „გილგამეშის ეპოსს“ ქრონოლოგი-

ურად წინ უსწრებს შუმერული ეპოსები, რომლებიც დღესდღეობით მსოფლიო ლიტერატურის ყველაზე ძველ, პირველ ლიტერატურულ ძეგლებად ითვლება.

აღმოჩენისთანავე მთელი მსოფლიოს ასირიოლოგები შეუდგნენ „გილგამეშის ეპოსის“ შესწავლას. 1902 წელს ეპოსი პირველად ითარგმნა გერმანულ ენაზე, შემდეგ, 1907 წელს – ფრანგულად, 1917 წელს – ინგლისურად, ხოლო **1924 წელს**<sup>1</sup> კონსტანტინეპოლში გამოიცა „გილგამეშის ეპოსის“ მიხაკო წერეთლისეული ქართული თარგმანი.<sup>2</sup> ამგვარად, ამ წიგნში შეტანილი ქართული „გილგამეშიანი“ წარმოადგენს „გილგამეშის ეპოსის“ ერთ-ერთ უპირველეს თარგმანს მსოფლიოში. ქართული ენა არის მეოთხე ენა, რომელზეც მ. წერეთელმა ჯერ კიდევ 1924 წელს თარგმნა ეს უძველესი ბაბილონური ეპოსი. ავტორი ამ თარგმანზე მუშაობდა ბრიტანეთის მუზეუმში (ლონდონში) და ეყრდნობოდა აშურბანიპალის ბიბლიოთეკის ასურულ ვერსიას. თარგმანი უნიკალურია იმ თვალსაზრისით, რომ შესრულებულია ავტოგრაფიებიდან (ანუ ლურსმული ფირფიტებიდან). საყურადღებოა ისიც, რომ

---

<sup>1</sup> **გილგამეშიანი**, ბაბილონური ეპოსი მესამე ათასეულისა ქრ.წ. ბაბილონურ ტექსტიდან თარგმნილი მ. წერეთლის მიერ მთარგმნელის შენიშვნებითურთ, გამოცემა კონსტანტინეპოლის ქ-კ სავანისა, კონსტანტინეპოლი, საბეჭდავი ქართველთა კათოლიკე სავანისა, 1924.

<sup>2</sup> თარგმანი რამდენიმე წლით ადრე იყო შესრულებული, კერძოდ ავტორის ლონდონში ყოფნისას მე-20 საუკუნის 20-იან წლებში. მ. წერეთელს სავარაუდოდ, „გილგამეშიანი“ კონსტანტინეპოლში უნდა დაეტოვებინა 1921 წელს, როდესაც მან სამუდამოდ დატოვა სამშობლო.

მეცნიერი ამ ეპოსში ქართულ ფესვებს ეძებს, რაც ცხადად ჩანს როგორც თავად თარგმანში, ასევე მის დანართში. წერეთელი იმიტომაც არის ერთეულთა შორის, რომ იგი თავად არის ამ ეპოსის ერთ-ერთი პირველი გამშიფრელიც. აღსანიშნავია, რომ ერთი საუკუნის შემდეგ, 2010 წელს დიდ ბრიტანეთში, კემბრიჯში გამართულ გილგამეშის ეპოსისადმი მიძღვნილ მსოფლიო კონგრესზე მიხაკო წერეთელი „გილგამეშის ეპოსის“ პირველ მთარგმნელთა სამეულში დასახელდა.<sup>1</sup> ბრიტანეთში გაკეთებული ამ განცხადების<sup>2</sup> შემდეგ თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა საუკუნის მანძილზე აკრძალული, მთელი მსოფლიოსთვის ცნობილი და სამშობლოსთვის დაკარგული „გილგამეშინი“. ამგვარად, ჩვენი სამასტომეულის ამ უნიკალური თარგმანით დაწყება სიმბოლურიცაა და დიდი საჩუქარიც ქართველი მკითხველისათვის, რომელიც პირველად გაეცნობა მ. წერეთლის ამ ბრწყინვალე თარგმანს.

„გილგამეშის ეპოსი“ ასევე თარგმნა ზურაბ კიკნაძემ 1961 წელს, მაშინ, როცა მიხაკო წერეთლის ხსენებაც კი აკრძალული იყო. ამ დროისათვის „გილგამეშის ეპოსის“ კვლევას უკვე საკმაოდ დიდი ტრადიცია ჰქონდა და ზურაბ კიკნაძე ამ ეპოსს თარგმნის ყველა ახალი ვერსიის საფუძველზე. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ძველ ლურსმულ დამწერლობების ცოდნასთან ერთად თარგმანის დროს გადამწყვეტი როლი მეტაფორულ და მითო-

---

<sup>1</sup> Decoding *Gilgamesh*: Interdisciplinary Perspectives on the Babylonian Epic, St. John's College, Cambridge, 12-14 April 2010.

<sup>2</sup> <http://www.britac.ac.uk/institutes/iraq/downloads/NL26.pdf>

ლოგიურ ენას ენიჭება. ამ მხრივ ძალიან მნიშვნელოვანია ზურაბ კიკნაძის, მითოლოგიისა და ბიბლიის ენის შესანიშნავი მცოდნის, მიერ შესრულებული „გილგამეშის ეპოსისა“ და შუამდინარული პოეზიის თარგმანები.

ძველ შუამდინარულ ეპოსებთან ერთად ჩვენ ასევე წარმოგიდგინთ შუმერული და, საერთოდ, კაცობრიობის პირველი პოეზიის, „ენხედუანას პოეზიის“ ერთ ნაწილს.

დაბოლოს, მკითხველის საყურადღებოდ ვიტყვით, რომ დღემდე მთავარ პრობლემად რჩება შუმერული ენის, მისი გამომსახველობითი საშუალებების არასრულყოფილი ცოდნა. ამიტომ, იმედი გვაქვს მკითხველის ლიტერატურული გამოცდილებისა და ენობრივი ალღოსი, რაც მას უძველესი შუმერული ტექსტები ბუნდოვანი ადგილების აღქმასა და შეფასებაში დაეხმარება.





enxeduanas

poezia

a



**ენხედუანას პოეზია** წარმოადგენს კაცობრიობის პირველ პოეზიას ქრონოლოგიურად (ძვ.წ. XXIV-XXIII ს.ს.) და ასევე პირველი მხატვრული სიტყვის ნიმუშს, რომელსაც ავტორი ჰყავს. ენხედუანას პოეზია დაწერილია შუმერულ ენაზე. ენხედუანა გახლდათ სარგონ აქადელის ასული, რომელიც მამამ მთვარის (ნანნას) ტაძრის უზენაეს ქურუმად დანიშნა ქ. ურში. ური სამხრეთ შუამდინარული ცივილიზაციის ცენტრს წარმოადგენდა. თუმცა ენხედუანა მხოლოდ ქურუმობით არ შემოსაზღვრულა. მას ეკუთვნის სამი პოემა ინანასადმი, სამი პოემა ნანნასადმი და ტაძრის 42 ჰიმნი. დღესდღეობით მსოფლიოს მეცნიერები ენხედუანას უწოდებენ ძველი აღმოსავლეთის **შექსპირს**, რადგან ენხედუანას პოეზიას იწერდნენ, ზეპირად იცოდნენ და თაობიდან თაობას გადასცემდნენ ათასწლეულის მანძილზე მისი სიკვდილის შემდეგაც. გადარჩენილია მრავალი შუმერულენოვანი ფირფიტა, რომელიც ენხედუანას პოეზიის სხვადასხვა ნიმუშს გვინახავს.

ჩვენ წარმოგიდგენთ ენხედუანას პოეზიის მხოლოდ ერთ ნაწილს – ინანას სამ პოემას.

## a ნინასიტყვაობა

1922 წელს ბრიტანეთის მუზეუმისა და პენსილვანიის უნივერსიტეტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ დაიწყო გათხრები ქ. ურში ინგლისელი ლეონარდ ვულის ხელმძღვანელობით. ური წარმოადგენდა შუმერული ცივილიზაციის ცენტრს ძვ.წ. III ათასწლეულში, მდებარეობდა ბაღდადსა და სპარსეთის ყურეს შორის, ევფრატიდან 10 მილის დაშორებით. პირველი არქეოლოგიური ექსპედიცია გათხრებს აწარმოებდა 12 წლის მანძილზე. მესამე წელს, ურის ნანნას ტაძრის გათხრებისას, ნანნას ტაძართან ახლოს აღმოჩნდა ალებასტრის დისკო. მასზე გამოსახულნი იყვნენ ქურუმები, რომლებიც ატარებდნენ ღვინით მსხვერპლშენირვის რიტუალს. როდესაც დისკოს დამტვრეული ნაწილები შეაერთეს, მეორე მხარეს გამოჩნდა წარწერა: „ენხედუანა, ნანნას ქეშმარიტი მასახური, ნანნას ცოლი/სარგონის ასული, სამყაროს მეფის, [საკურთხეველი ზეცის ტაბლა] ქალღმერთ ინანასი“.<sup>1</sup> ექსპედიციამ ასევე აღმოაჩინა **ენხედუანას – მთვარის ტაძრის**

---

<sup>1</sup> Irene J. Winter, “Women in Public: the Disc of Enheduanna, the Beginning of the Office of En-Priestess, and the Weight of Visual Evidence,” *Pares: Editions Recherche sur les Civilisations*, 1987, p. 192.

**უზენაესი ქურუმისა და პირველი პოეტის პორტრეტი.** ენხედუანას პოეზია წარმოადგენს ყველაზე ადრინდელ პოეზიას, რომელსაც ავტორი ყავს. კაცობრიობის პირველი პოეზიის ავტორი, ენხედუანა, ისტორიული ფიგურაა. იგი სარგონ დიდი აქადელის ასულია, რომელიც ქ. ურში მთვარის (ნანნას) ტაძრის უზენაესი ქურუმი იყო. ენხედუანა ახდენს თავისი სახელის იდენტიფიცირებას თავის პოემებში.

ზემოთ ხსენებულ დისკოზე ენხედუანა მოიხსენიებს თავის მამას, სარგონ აქადელს, რომელიც ატარებდა ტიტულს „სამყაროს მეფე“. დისკოს აღმოჩენამდე მეცნიერებმა არ იცოდნენ, სარგონ აქადელი მითიური პერსონაჟი იყო თუ ისტორიული პირი, ასევე უცნობი იყო ენხედუანას სახელიც. ქ. ურის მომდევნო ხანგრძლივი გათხრებისას იპოვეს 5 ათასამდე თიხის ფირფიტა, რომელთა შორის აღმოჩნდა ენხედუანას მთელი შემოქმედება: სამი გრძელი პოემა მიძღვნილი ქალღმერთ ინანასადმი, სამი პოემა მთვარის ღმერთ ნანნასადმი და 42 ტაძრის ჰიმნი.<sup>1</sup>

შუმერულ ხელოვნებაში მრგვალი ფორმა ძალიან იშვიათი მოვლენაა. ამ შემთხვევაში, ენხედუანას დისკო მთვარის ფორმას უნდა უკავშირდებოდეს. ინანა და ენხედუანა, ორივე მთვარის ღმერთს უკავშირდება: ენხედუანა – ნანნას, რომელიც მთვარის

---

<sup>1</sup> Joan Goodnick Westenholz, *Enheduanna, En-Priestess, Hen of Nanna, Spouse of Nanna, Philadelphia, University Pennsylvania Museum, 1989, 540.*

მთავარი ღვთაების უზენაესი ქურუმია, ხოლო ინანა<sup>1</sup> – ნანნას და ნინგალის.<sup>2</sup> ის შუმერული მთვარის წყვილის პირველი ასულია. ამ დისკოზე ენხედუანას მარჯვენა ხელი აწეული აქვს სახის (ცხვირის) გასწვრივ. „ცხვირთან ხელის მიტანა“ გვხვდება წარმოდგენილ პოემებში („ქალბატონი-სამყაროს გული“). შუმერული ზმნა „მისალმება“ ნიშნავს „ხელის ცხვირთან მიტანას“ (kiri<sub>4</sub> su-gal<sub>2</sub>). ეს ჟესტი შემდგომ პერიოდშიც ცნობილია დაწყებული ურის III დინასტიის (ძვ.წ. XXI ს.) ცილინდრული საბეჭდავების წარდგენის სცენებიდან<sup>3</sup> ხამურაბის კანონების სტელის იკონოგრაფიამდე, ანუ ძველბაბილონურ პერიოდშიც (ძვ.წ. XX-XVI ს.ს.). დისკოზე ენხედუანა იხსენიება „ნანნას ქალბატონად, ნანნას ცოლად“. ამ პოზიციაზე იგი დანიშნა სარგონ აქადელმა, მისმა ღვიძლმა მამამ. ენხედუანას უზენაეს ქურუმად დანიშვნა მრავალმხრივაა ნი-

---

<sup>1</sup> ინანა – ყველაზე ცნობილი შუმერული ქალღმერთი, რომელიც უამრავ მითოლოგიურ ტექსტში გვხვდება. იკვეთება მისი ორი ასპექტი, სიყვარულისა და ბრძოლის. სიყვარულის ქალღმერთის ინანას ასტრალური გამოსახულებაა მწუხრის ვარსკვლავი, ხოლო ბრძოლის ასპექტს ცისკრის ვარსკვლავი გამოხატავს. ინანას ეპითეტებია: ბრწყინვალე, ერთადერთი ვარსკვლავი, დიდი დედოფალი, ბრწყინვალე ქალბატონი. ინანას საკულტო ქალაქი იყო ქ. ურუქი, სადაც ე-ანას სახელწოდებით ცნობილ ტაძარში მას საღვთო როსკიპები ემსახურებოდნენ. სრულდებოდა საკულტო ქორწინების წესი, სადაც განასახიერებდნენ მითოსურ წყვილს, ინანას და დუმუზის.

<sup>2</sup> ნანნა და ნინგალი – ნანნა მთვარის ღმერთის სინის შუმერული სახელია, ნინგალი მისი ცოლია. ნანნა და ნინგალი განასახიერებდნენ მთვარის წყვილს შუმერულ მითოლოგიაში.

<sup>3</sup> სამსონია ნ. „შუამდინარული გლიპტიკა“, თსუ, 2008, 94-106.

შანდობლივი. მანამდე სარგონმა სამხრეთ შუამდინარეთი, იგივე შუმერული ქალაქ-სახელმწიფოები, გააერთიანა ჩრდილოეთით მის მიერ დაარსებული სემიტური ქალაქის – აქადის მმართველობის ქვეშ ძვ.წ. 24-ე საუკუნეში. ეს გახლდათ მსოფლიოს პირველი წარმატებული იმპერია. სემიტური ენა, რომელსაც აქადურს ვუწოდებთ, მესოპოტამიაში სარგონ აქადელის დროიდან ვრცელდება (ძვ.წ. XXIV ს.). მათ აქადური ენისთვის გადმოიღეს შუმერული ლურსმული დამწერლობა. ქ. ურში, რომელიც სამხრეთ შუამდინარეთისა და შუმერული კულტურის ცენტრს წარმოადგენდა, სარგონმა ქურუმად დანიშნა თავისი ქალიშვილი. ქ. აქადი (ჩრდ. შუამდინარეთი) საკმაოდ მოშორებით მდებარეობდა. ამიტომ სარგონი მიზნად ისახავდა კონტროლი გაეუმჯობესებინა იმპერიის სამხრეთ რეგიონზე და გაემყარებინა თავისი პირველი იმპერია.

ალეხასტრის დისკოზე ენხედუანა მოიხსენიება, როგორც „ნანნას ქალბატონი, ნანნას ცოლი“. ღვთაება ნანნას ცოლი შუმერულ მითოლოგიაში ქალღმერთი ნინგალია. უზენაესი ქურუმი ენხედუანა ხიდია მოკვდავთა და ღმერთებს შორის. საკრალური ქორწინების რიტუალში ქურუმი გარდაიქმნება „ნინგალად“ და ემზადება ნანნასთან შესახვედრად ტაძრის სარეცელზე, სადაც მას თავს მიუძღვნის. ამიტომაც იგი იწოდებოდა „ნინ-დინგირ“ – „ქალბატონი ღმერთი“. ენხედუანა „ნანნას ცოლია“. ის მოკვდავია, „სარგონის, სამყაროს მეფის ასულია“ და, კიდევ, როგორც დისკოს წარწერა გვამცნობს, ენხედუანა თავს უძღვნის ქალღმერთ ინანას.

ჩვენ მიერ წარმოდგენილი სამი პოემა ეძღვნება ქალღმერთ ინანას. ენხედუანას, როგორც ქურუმის, მოვალეობაა ემსახუროს მთვარის წყვილს – ნანნას და ნინგალს, ხოლო მისი პირადი მსახურება ეძღვნება ინანას – მარადიული სიყვარულის საბედისწერო ქალღმერთს შუმერულ მითოლოგიაში.

ენხედუანა დაიბადა და გაიზარდა ამბიციური, ქარიზმატული მეფის სარგონის სახლში. ის ერთადერთი ქალიშვილი იყო სარგონის ხუთ შვილს შორის. აქადური პერიოდის სამეფო და დინასტიური საბეჭდავებიდან ენხედუანას სახელით მრავალი საბეჭდავია ცნობილი.<sup>1</sup> სარგონის ცოლად მოიხსენიება სემიტი, აქადურენოვანი დედოფალი თაშლუთუმი. სავარაუდოდ, ის ენხედუანას დედა არ ყოფილა. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, ენხედუანას დედა შუმერი დედოფალი უნდა ყოფილიყო, რასაც ადასტურებს ენხედუანას შუმერული ენის ბრწყინვალე ცოდნა.<sup>2</sup>

სანამ სარგონ აქადელი შუამდინარული იმპერიის სათავეში მოვიდოდა, შუმერები საუკუნეებით ადრე სამხრეთ შუამდინარეთის ძირითად მოსახლეობას წარმოადგენდნენ, ხოლო 4 საუკუნით ადრე – ძვ.წ. XXVIII საუკუნიდან მათ შექმნეს ქალაქ-სახელმწიფოთა სისტემა, სადაც სახელმწიფო ენა შუმერული იყო. შუმერებმა შექმნეს პირველი დამწერლობა კაცობრიობის ისტორიაში, რაც ლურსმული, სილაბური დამწერლობით იყო წარმოდგენილი. სარგონამდე საუკუნეებით ადრე შუმერებმა ასევე შექმნეს

---

<sup>1</sup> სამსონია ნ., „შუამდინარული გლიპტიკა“, თსუ 2008, 152.

<sup>2</sup> William W. Hallo and William Kelly Simpson, *The Ancient Near East*, New York, 1971, 55.



ფუნდამენტური რელიგიური სისტემა და პანთეონი, ლურსმურ ფირფიტებზე ჩანერეს ლიტერატურული და რელიგიური ტექსტები. სარგონის დროს ძირითად ენად იქცა სემიტური ენა, ძველი აქადური, თუმცა შუმერული კვლავ ვრცელდებოდა სამხრეთ შუამდინარეთის ქალაქებში. სარგონ აქადელის ეპოქის შესახებ პროფ. ნიკოლას პოსტგეიტი აღნიშნავს: „ეს იყო დიდი სისტემა და ფორმალობა“.<sup>1</sup>

ენხედუანას ცხოვრება იწყება სამეფო ოჯახში – პრივილეგიებსა და სიმდიდრეში. მისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე ყოველთვის მისი ოჯახის წევრი მართავდა სრულიად შუამდინარეთს. ენხედუანას ძმა რიმუში გამეფდა სარგონ აქადელის შემდეგ, რომელიც მოკლა მისმა უფროსმა ძმამ მანიშთუშუმ. შემდეგ მანიშთუშუც შეთქმულების მსხვერპლი გახდა. შემდეგი მეფე, მანიშთუშუს ვაჟი ნარამსინი, ნარმოადგენს სარგონ აქადელის ნამდვილ შთამომავალს – აძლიერებს იმპერიას და თავს „აქადის ღმერთად“ აცხადებს. რეალურად ქ. აქადის „ღმერთი“ უზენაესი ღვთაება იშთარი იყო, იგივე შუმერული ინანა. შესაძლოა ამ ფაქტითაც იყოს გამოწვეული ენხედუანას, მთვარის ქურუმის, განსაკუთრებული დამოკიდებულება ინანასადმი. ენხედუანას პირველად შემოაქვს ინდივიდუალიზმი. ის წერს თავის პოემებში: „მე ვარ ენხედუანა“. მისი პოეზია ინდივიდუალობის, გრძნობათა ყველაზე ინტიმური ნიუანსების და პოეზიის სიღრმისეული განცდის უპირველესი ნიმუშია.

---

<sup>1</sup> J.N. Postgate, *Early Mesopotamia – Society and Economy at the Dawn of History*, London and New York, 1992, p.41

როგორც ვნახეთ, სარგონ აქადელმა ქ. ურში თავისი ქალიშვილი დანიშნა მთვარის ტაძრის უზენაეს ქურუმად. სარგონი მეფობდა 55 წელიწადი, შემდეგ მისი ორი შვილი და ძლევამოსილი შვილიშვილი ნარამსინი, ხოლო ენხედუანა ქ. ურის უზენაესი ქურუმი იყო ნარამსინის მეფობის დროსაც.

შუმერული რელიგიური ტრადიციით, მამრი ქურუმი ემსახურებოდა ქალღმერთს, ხოლო ქალი ქურუმი – ღმერთს. ამის მაგალითები გვაქვს ქ. ურუქში ინანას და ან-ის ტაძრის მსახურების ამსახველი ტექსტებიდან. შუმერული ტრადიციით, ნანა მთვარის ღმერთის სახელია, ხოლო სემიტი აქადურენოვანი მოსახლეობა მთვარის ღმერთს – სინ-ს (სუ-ენს) უწოდებს. მთვარის ღმერთის მესამე სახელია აშიმბაბარი. ეს გახლავთ მთვარის ღმერთის უფრო ძველი, შუმერული სახელი. თუმცა მკვლევართათვის არ არის ცნობილი ნანას და სინის სახელთა წარმომავლობა, ხოლო აშიმბაბარი შუმერულად ნიშნავს „ვინც (წინ) გზას უნათებს“.

ადრეულ შუმერულ ტექსტებში ვხვდებით ტიტულებს, რომლებიც მთვარის ღმერთს ეკუთვნის. მათ შორისაა ფრაზა, რომელიც ძალიან ჰგავს ზემოთ ხსენებულ დისკოზე აღმოჩენილ ფრაზას „მუნუს-ნუნუზ-ზი-დნანა“, რაც ნიშნავს „ღვთაება ნანას ქემმარიტი ქალი“ ან, როგორც ზოგიერთი მკვლევარი თარგმნის, „ნანას ქათამი“ – რაც აღნიშნავს მის როლს როგორც ნანას სექსუალური პარტნიორისა.<sup>1</sup> შუმერში მთვარისადმი მიძღვნილ

---

<sup>1</sup> William W. Hallo and William Kelly Simpson, *The Ancient Near East*, New York, 1971, 55.

რიტუალს ღამით ატარებდნენ და ასევე ღამით აკვირდებოდნენ დროის გამოსათვლელადაც. „ახალი მთვარის დღე“, u<sub>4</sub>-Šakar, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო. ამ დღეს ყოველთვე აღნიშნავდნენ დღესასწაულით, რომელსაც ერქვა e<sub>3</sub>-e<sub>3</sub>. ამ დღესასწაულის რიტუალი გრძელდებოდა მომდევნო დღეებშიც, მთვარის ფაზების მიხედვით მეშვიდე და მეთხუთმეტე დღეს. მსახურების შესანიშნავი შედიოდა ხარები, ცხვრები, კრავები და ჩვილები, ფინიკით და ლელვით სავსე კალათები. ყველაზე მეტად მნიშვნელოვანი ქ. ურის მთვარის დღესასწაულები იყო – მასში მთავარ როლს მეფე ასრულებდა, მონაწილეობდნენ ცალკეულ ქალაქთა მმართველები, რომელთაც ენსი ეწოდებოდათ.<sup>1</sup>

სავსე მთვარის შემდეგ მთვარის ფაზებს აღარ ზეიმობდნენ. ჩამქრალი და დაკლებული მთვარე ითვლებოდა მთვარის ღმერთის ქვესკნელში მოგზაურობად. ამ დროს ნანა ჩადიოდა ქვესკნელის ღმერთ ნერგალთან.

ერაყის ცაზე მთვარე ჩვეულებრივ ჰორიზონტალურ პოზიციაშია, რასაც შუმერები მთვარის გვირგვინს ან რქებს უწოდებდნენ. ამასვე უკავშირდებოდა ნავების ფორმა, რომელსაც შუმერულ ენაში ma-gur ეწოდება, რაც მათი უპირველესი ტრანსპორტი იყო დელტების ჭაობებში.

ინანა ქალღმერთია პლანეტა ვენერასი, ასევე მთვარის ღვთაებათა პირველი შვილი. ენხედუანას სიტყვით, ინანა არის

---

<sup>1</sup> Betty De Shong Meador, Inana Lady of largest heart, Four spiritual paths, 151-2.

მიქცევა და მოქცევა კოსმოსის გულში და მსგავსად მთვარისა სამყაროს ცვლილების სიმბოლოა. ამიტომაც ინანას ხელთ უპყრია სამყაროს საპირისპირო ციკლები: ნათელი და ბნელი, სიკვდილი და სიცოცხლე, ნაყოფიერება და სიმწირე.<sup>1</sup>

ინანასგან განსხვავებით, ენხედუანა არ არის მთვარის შვილი, თუმცა ის მთვარის პატარძალია, რომელიც საკრალურ ქორწინებაში ნინგალის როლს ასრულებს. საკრალური ქორწინების რიტუალში ენხედუანა მდებარე მთვარედ იქცევა. ის მონაწილეობს ღმერთის და ქალღმერთის, ქალის და კაცის, ცის და მიწის დაკავშირებაში, რასაც შუამდინარეთში აღნიშნავდნენ ახალი წლის დადგომასთან ერთად.<sup>2</sup>

ქ. ურში მთვარის ღმერთის რიტუალებში ქალღმერთი ნინგალი მთავარ როლს თამაშობდა. ური იყო ერთადერთი ქალაქი, რომელთანაც ნინგალი ასოცირდებოდა. ნინგალი იხსენიება ქ.ფარას არქაულ ტექსტებში (ძვ.წ. XXV ს.), ხოლო უფრო გვიანდელ (ძვ.წ. II ათასწ. I ნახ.) ლურსმულ ტექსტებში ქალღმერთი ნინგალი იწოდება „ურის დედად“. ნინგალს აპურებდნენ რეგულარული მსახურებით: „ლუდით, ფქვილით, პურიით და ხორციით“. შემოსილი იყო სამოსით და სამკაულებით, რომელიც ტაძრის სამქროებში მზადდებოდა. ნინგალს ეთაყვანებოდა ყველა, რად-

---

<sup>1</sup> Hallo, William W. *Women of Sumer; In the Legacy of Sumer*, edited by Denise Schmandt-Besserat. Malibu: Undena Publications, 1976.

<sup>2</sup> ახალ წელი წარმოადგენდა 12 თვის პირველი თვის დასაწყისს, რომელსაც შუმერები აღნიშნავდნენ გაზაფხულის დადგომასთან ერთად. Jeremy Black, Anthony Green, *Gods, Symbols and Demons (illustrated dictionary)*, British Museum, 1995.

გან მხოლოდ მას შეეძლო შერწყმოდა ნანნას საკრალური ქორწინების რიტუალში.

ნინგალის დედათა ნესი გამოთვლილი და აღრიცხული იყო, ისევე როგორც ინანასი. შუმერულში არსებობს ზმნა, რომელიც აღნიშნავს „ქალს დედათა ნესით“. ზმნის ძირი აღმოჩნდა ქალღმერთ იშხარას სახელში<sup>1</sup> – r̄š, šr „დედათა ნესი (ზმ.)“. ქალღმერთი იშხარა ქალის პროტოტიპია, რომელიც სხეულით ატარებს მთვარის ციკლს.<sup>2</sup>

ქალღმერთ იშხარას ფაქტორს პირველად ყურადღება მიხაკო წერეთელმა მიაქცია. იგი წერს: „ხეთელთა ქალღმერთი იშხარა=მინის დედოფალი, რომელსაც თაყვანს სცემდნენ ბაბილონ-ასურეთშიც და, აგრეთვე „ადგილთა დედოფალსაც“ უწოდებდნენ, ცნობილია საქართველოშიც. აფხაზეთში – აჟაჰარა ანუ აშახარა.... აფხაზური ქალღმერთი აჟაჰარა იგივე ხეთური იშხარა არის, რომლის კულტი ძლიერ იყო გავრცელებული მცირე აზიასა და შუამდინარეთში.“<sup>3</sup> იშხარას შესახებ აკად. გრიგოლ გიორგაძე აღნიშნავს: „იშხარა ქალღვთაება იშთარის ერთ-ერთი გამოვლინება იყო და ითვლებოდა ხორციელი სიყვარულის ქალღმერთად, უკავშირებდნენ რა მას ნეფე-დედოფლის საქორწინო ღამეს, საერთოდ სასიყვარულო სარეცელს.. აუხსნელია რა გზით უნდა

---

<sup>1</sup> **იშხარა** – ინანა/იშთარი დედის ასპექტში. არსებოვდა, როგორც დამოუკიდებელი ქალღმერთი შუმ. მითოლოგიაში.

<sup>2</sup> Claus Wilke, "Familiengrundung in alten Babilonian", 1985, 298.

<sup>3</sup> წერეთელი მ. ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა, კონსტანტინოპოლი, 1924, გვ. 70-77.

მოხვედრილიყო ეს შუამდინარელი ქალღმერთი აფხაზეთში? ხომ არ გულისხმობდა ბატონი მიხეილი, რომ აფხაზური წარმომავლობის ტომები უფრო სამხრეთით ბინადრობდნენ? ამის შესახებ ნაშრომში არაფერია აღნიშნული“.<sup>1</sup>

სავარაუდოდ, იშხარა მიეკუთვნება წინაშუმერულ ენობრივ სუბსტრატს, რომელიც შემდეგ გავრცელდა მთელ წინა აზიაში (ელამში – „აშხარა“, ბაბილონში „ეშხარა“, უგარიტში „უჟხარა“, ხურიტებთან „იშხარა“, ისე როგორც ბაბილონში). „გილგამეშის ეპოსში“ ენაცვლება ქალღმერთ იშთარს. იშხარას იშთართან იდენტიფიცირება ხდება მოგვიანებით.<sup>2</sup>

ქალს, დედათა წესით, არ უნდა ენახა დღის შუქი, არ უნდა შეხებოდა წყალს, არ უნდა შეხებოდა მიწას. ეს აკრძალვები აუცილებელი იყო უწმინდური ძალის წინააღმდეგ, რომელიც სინქრონულად ჩნდებოდა მთვარის ფაზებთან ერთად.

მთვარის ტაძრის საკრალური ქორწინების რიტუალს წინგალი ასახიერებდა. რომელიც სავარაუდოდ მოსავლის აღების შემდეგ, ახალი წლის დადგომასთან ერთად სრულდებოდა. რიტუალის კულმინაცია იყო ქალღმერთის შეერთება მთვარის ღმერთთან, რომელსაც დიდი ქურუმი და მეფე განასახიერებდნენ სექ-

---

<sup>1</sup> გიორგაძე გრ. მ. წერეთლის – „ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა“ – შესახებ. იხ. ნ. სამსონია, მიხაკო წერეთელი და ასირიოლოგია, გვ. 88-89.

<sup>2</sup> სამსონია ნ. მიხეილ (მიხაკო) წერეთელი და ასირიოლოგია, თსუ 2005, გვ. 88.

სუალური აქტით, რომელიც ნაყოფიერების და დედამიწის კვლავ გაცოცხლების მთავარ იმპულსად მიიჩნეოდა.

საკრალური ქორწინების დღესასწაული ნანნასა და ნინგალს შორის იყო ნინგალის ტაძრის უმთავრესი ფუნქცია ქ. ურში. შუამდინარეთის სხვა ქალაქთა ტაძრებში მთვარის ღმერთი მოიხსენიება სხვადასხვა სახელებით, მხოლოდ ნანნა ქ. ურში ერწყმოდა ნინგალს ეროტიკული ფორმით. რიტუალი სათავეს ქ. ურუქში უნდა იღებდეს, სადაც გაღმერთებული მეფე დუმუზი ქორწინდებოდა ქალღმერთ ინანაზე, რის შემდეგაც ადგილს იკავებდა შუმერულ პანთეონში, როგორც ბუნების კვლავგანახლების და ნაყოფიერების ღმერთი. ურის III დინასტიის დროიდან (ძვ.წ. XXI ს.) საკრალური ქორწინების წყვილს, ინანას და დუმუზის, წარმოადგენდა მეფე და უზენაესი ქურუმი ქალი. მათი კავშირი ბუნების და ქვეყნის განახლებას უკავშირდებოდა. რიტუალი ტარდებოდა ახალი წლის დადგომასთან ერთად, რაც ახალი ნაყოფიერი წლის გარანტი იყო შუმერებისთვის.<sup>1</sup> არსებობს მოსაზრება, რომ ინანასა და მეფის ქორწინების მთავარი მიზანი იყო ურთიერთობების გამყარება ხალხსა და ღმერთებს შორის.<sup>2</sup>

ქ. ურის უზენაესი ქურუმის ვალდებულება იყო პრაქტიკულად განეხორციელებინა ქორწინების აქტი ღმერთთან, რო-

---

<sup>1</sup> Jakob Klein, "Shulgi of Ur: King of a Neo-Sumerian Empire," in *Civilizations of the Ancient Near East*, vol. 2, 1995, 847.

<sup>2</sup> Cooper, "Sacred Marriage and Popular Cult in Early Mesopotamia". In *Official Cult and Popular Religion in the Ancient Near East*. Heidelberg:Universitätsverlag. 1993, 90

მელსაც რეალურად მოკვდავი მეფე განასახიერებდა. ენხედუანას შემთხვევაში, როდესაც ის იყო ან მეფის შვილი, ან და, ან მამიდა, გიპარის<sup>1</sup> კართან მას ოჯახის ნევრთან უხდებოდა შეხვედრა. ამ შემთხვევაში, შესაძლოა, ისინი გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდნენ და რაიმე სხვა ფორმას პოულობდნენ რიტუალის განსახორციელებლად, რადგან ინცესტი არც ერთ შუმერულ ტექსტში არ ფიქსირდება. რიტუალი იწყებოდა ქურუმის განბანვით, შემდეგ მორთვა-მოკაზმვით, რომელიც შემდეგ გიპარში შედიოდა, სადაც მეფეს ელოდებოდა სარეცელზე. მეფე წინ უძღვებოდა პროცესიას და შემდეგ შედიოდა საიდუმლო ოთახში, სადაც უკვე ქურუმი ელოდა. მათი შეხვედრის შემდეგ რიტუალი ნადიმით მთავრდებოდა.

უზენაესი ქურუმის მეორე უმთავრესი ფუნქცია იყო სიზმრების ახსნა, ღმერთის სიტყვის მიწვდენა ხალხისთვის. ენხედუანა ღამით, ძილში იღებდა „სიზმრად ნინგალის საჩუქარს“. შუმერში ორაკულის სიზმრები ღმერთების მთავარი გზავნილი იყო ამქვეყნად. ენხედუანა გვევლინება ვირტუალურ თეოლოგად, რაც ასევე ასახულია მის პოემებში. ის და სხვა ქალი-ქურუმებიც იკრძალებოდნენ სპეციალურ სამარხში გიპარის გვერდით. მათ მსხვერპლს წირავდნენ სიკვდილის შემდეგაც. მიჰქონდათ ყველი, კარაქი, ფინიკი, ზეთი.

**ენხედუანას პოეზია** და ჰიმნები პირველ ადგილს იკავებს შუმერულ ლიტერატურაში, რომელიც გადაინერა ტაძრების დამ-

---

<sup>1</sup> **გიპარი** – ოთახი ტაძარში, სადაც სრულდებოდა საკულტო ქორწინების რიტუალი (ჰიეროგამია) ქალაქის თუ ქალაქ-სახელმწიფოს ღვთაებასა და ქურუმს შორის.



ნერლობის სკოლებში ნეო-შუმერულ პერიოდში (ძვ.წ. 2200-1900 წ.წ.). ნეო-შუმერული და ბაბილონელი გადამწერების, მათი მოსწავლეების წყალობით კაცობრიობას შემორჩა პირველი პოეზიის ნიმუშების მრავალი ასლი. თანამედროვე ასირიოლოგები ანხედუანას უწოდებენ შუმერ შექსპირს, რადგან მის შემოქმედებას ინერდენ, სწავლობდნენ და ზეპირად იცოდნენ ნახევარი ათასწლეულის მანძილზე ენხედუანას სიკვდილის შემდეგაც. ენხედუანას პოეზია მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში ადგილს იკავებს, როგორც კაცობრიობის უძველესი პოეზიის ნიმუში. ენხედუანა გასცდა თავისი მოვალეობის საზღვრებს. იგი არ შემოსაზღვრულა მხოლოდ თავისი ფუნქციით – ურის უზენაესი ქურუმობით. იგი გვაზიარებს შუმერული თეოლოგიის მთელ სიღრმეს, უკვდავყოფს მისი ეპოქის ცნობიერებას.

ჩვენ მიერ წარმოდენილი ენხედუანას სამი პოემა ქალღმერთ ინანას ეძღვნება, რაც შუმერული მითოლოგიის მთავარი თემა იყო საუკუნეთა მანძილზე. ენხედუანამ ის სხვა კუთხით, ყველა ღმერთზე ამაღლებულად დაგვანახა. ენხედუანას პოემები გვახედებს არაორდინალური ქალის ცხოვრების ძალიან ინტიმურ, ფაქიზ ნიუანსებში.

**ინანა და ებიხი** – ეს არის ამბავი ქალღმერთ ინანას და დაუმორჩილებელი მთის, ებიხის კონფლიქტის შესახებ, რაც ინანას გამარჯვებით და ტრიუმფით მთავრდება. მთა-ებიხს პროფ. ნ. პოსტგეიტი განსაზღვრავს, როგორც ზაგროსის მთიანეთის „აღმართულ კლდის კედელს“, რომელიც რამდენიმე ასეულ კი-

ლომეტრზეა გაჭიმული.<sup>1</sup> ზაგროსის მთიანეთის ეს ნაწილი ებიხის სახელწოდებითაა ცნობილი. წერილობითი წყაროების მიხედვით, სარგონ აქადელი და ნარამ-სინი შეჭრილან ამ ტერიტორიაზე ტყეთა გასაჩეხად. როგორც ჩანს ებიხის ტერიტორია ნარამსინს აჯანყებია, რაც მარამსინის გამარჯვებით დასრულებულა და ღვთაება ინანა/იშთარის დამსახურებად მიიჩნეოდა. „ინანა და ებიხი“ არის ენხედუანას პირველი პოემა, რადგან მომდევნო ორ პოემაში კვლავ ნახსენებია ებიხის ამბები. ეს პოემა, ისევე როგორც შუმერული წარღვნის მითი, გადადის ბიბლიაში. ებიხის აღწერილობა და ბედიც ბიბლიური სამოთხის წინაპარია.

**ქალბატონი სამყაროს გული** წარმოდგენილ სამ პოემას შორის ენხედუანას თეოლოგიის ყველაზე სრულყოფილი გამოვლინებაა. სულიერ ასპექტში ენხედუანას ბევრად შორს მივყავართ ქრისტიანული ქალის იდეალებისგან, მაგალითად, როგორიცაა ევა ან ღვთისმშობელი. ენხედუანას პოეზია წარმოგვიდგენს ქალის ოთხ ასპექტს: მებრძოლი, ქურუმი, საყვარელი და, ზოგიერთი მკვლევრის ვარაუდით, ანდროგენიც, როდესაც რიტუალური გარდაქმნებია აღწერილი.<sup>2</sup>

შუმერულ პანთეონს ჰყავდა დედა-ქალღმერთი, რომელსაც ნინხურსაგს<sup>3</sup> უწოდებდნენ. ასევე ცნობილი იყო ნინთურის სახე-

---

<sup>1</sup> Postgate, Early Mesopotamia., Society and Economy at the Dawn of History, London and New York, 1992, 8.

<sup>2</sup> Betty De Shong Meador, Inana Lady of largest heart, Four spiritual paths, 151-2.

<sup>3</sup> **ნინხურსაგ-ი**, დედა-ქალღმერთის შუმერული სახელწოდება, რომელიც ცნობილი იყო, როგორც ღვთაებათა დედა, მრავალ

ლით ანუ „ქალბატონი-მშობელი ბოსელი“; *არურუ* – „თესლის მიმნიჭებელი“, <sup>1</sup> რომელმაც თიხისგან მოზილა პირველი კაცი; *ნინ-სიგ-სიგ* „დუმილის ქალბატონი“, რომელიც იცავს მშობიარეს, სამშობიარო ტკივილების დროს უხამსი სიტყვებისგან; მუდკემდა „სისხლის იმედი“, ვინც აჩერებს სისხლდენას მშობიარობის შემდეგ. ჩამოთვლილ არც ერთ ქალურ სანცისს არ ჰგავს ინანა. ის არ არის ცოლი და დედა ბავშვით ხელში. ინანა სხვა ენერგიის ქალური სანცისია. ენხედუანას ინანასადმი მიძღვნილი პოემები შუამდინარეთის ყველა ქალაქში იყო გავრცელებული. ენხედუანა იყო ურის ქურუმი, რაც სრულიად შუმერის ქურუმს ნიშნავდა. მისი 42 ჰიმნი შესრულებულია სხვადასხვა ქალაქების: ერიდუს, ნიფურის, ურუქის, ლაგაშის, სიფარის და აქადის ტაძრებში. ამ ჰიმნებში ის აღიძებს ღვთაებას, როგორც გარკვეული ქალაქის მფარველს, ხოლო ინანას სამი პოემით აცხადებს ინანას უზანაესობას სრულიად გაერთიანებულ სამეფოზე.

პოემაში „ქალბატონი სამყაროს გული“ აღწერილია ურის ნანანას ტაძრის საკმაოდ რთული რიტუალი. ენხედუანა წერს ახალგაზრდა ქალზე, რომელიც ამბობს სიტყვას: *la-la*, რაც შუმე-

---

ქალღმერთთა და ღმერთთა მშობელი. Jeremy Black, Anthony Green. *Gods, Demons and Symbols of Ancient Mesopotamia*, British Museum Press, 1992, 140.

<sup>1</sup> *არურუ* – (შუმ. თესლის მიმნიჭებელი რუ-რუ თესლი). ქალღმერთი, რომელმაც შექმნა პირველი კაცი. მოზილა თიხა, დანერწყვა და ამბოხებული ღმერთის, ქინგუს სისხლი ჩაუსხა. მოიხსენიება „გილგამეშის ეპოსში“, როგორც ენქიდუს შემქმნელი.

რულად მიშნავს მზეჭაბუკს. მითში „ინანას ჩასვლა ქვესკნელად“, სიბრძნის ღმერთი ენქი,<sup>1</sup> ქმნის ორ *უსქესო* არსებას ფრჩხილის ქვეშ დაგროვილი ჭუჭყისგან. მათი სახელებია: *გალათურა* და *ქურღარა*. ეს ორივე სახელი გვხვდება ტადრის მსახურების ტექსტებში და ასევე ენხედუანას პოემაში ”ქალბატონი სამყაროს გული“. პოემაში მოხსენიებული *პილი-პილი* და *ქურღარა* განეკუთვნებიან ნანნას ტადრის მომსახურე პერსონალს, რომლებიც კულტის დრამაში მონაწილეობენ. ამ სახელების ეტიმოლოგია უცნობია. მკვლევართა აზრით პილი-პილი დეგრადაციის, დაკნინების, დასახიჩრების გამომხატველი უნდა იყოს. პოემაში *ქურღარა* მომღერალია, რომელიც ასევე დოლზეც უკრავს. იგი ატარებს სხვადასხვა იარაღს: მეთაურის დანას, ხმალს, სატევარს. ზოგჯერ იარაღი სისხლში აქვს გასვრილი ინანას გულის გასახარებლად. როგორც უდიდესი შუმეროლოგი ო. ედცარტი აღნიშნავს, ეს ორი სახელი წარმოქმნილია ბავშვური ენისგან: *ქურღარა* – შუმ. ქურ-მთა ანუ ქურ-ლარა ენის მოჩლექით, მეტაფორულად ნიშნავს ფეკალურ გროვას, ნაყარს მთის ფორმით. *პილი-პილი* უკავშირდება მოშარდვის არალიტერატურულ სიტყვას, ამ

---

<sup>1</sup> **ენქი** – (შუმ. „ბატონი-მინა“). შუმ. ღმერთი, რომელმაც შემდეგ მესამე ადგილი დაიჭირა ბაბილონის პანთეონის ტრიადაში ეა-ს სახელით. მისი სამყოფელი მტკნარი წყლების ოკეანეა. მისი ძალით მოედინება ყველა მდინარე მინაზე. ენქი სიბრძნის და ხელოვნების, ასევე მაგიის ღმერთია, რადგან ის დასაბამს წყლის სიღრმიდან იღებს. მონაწილეობს პირველკაცის გაჩენაში, ამიტომაც კაცობრიობის მფარველია. ენქიმ გადაარჩინა წარღვნას ერთადერთი ადამიანი ზიუსუდრა, იგივე უთვაფიშთი.

შემთხვევაში, ვინც შარდავს. თუ ო. ედცარტს დავეყრდნობით, ტაძრის გარკვეული პერსონალისადმი ნეგატიური მიდგომაა,<sup>1</sup> ან თავად მონაწილეობენ რიტუალის ნეგატიურ ეპიზოდში. ეს გახლავთ ამ პოემის ურთულესი ნაწილი, რაც თარგმანშიც ნაწილობრივ ბუნდოვანი რჩება.

ამავე რიტუალში ინანა სახელს უცვლის ორივეს – „ჭაობის-ლერნამი ქალი, ჭაობის ლერნამი-კაცი“. ლერნამს, რომელიც მდინარის დაჭაობებულ ნაპირებზე ხარობდა, შუმერები აღიქვამდნენ სივრცედ მინასა და მდინარის წყალს შორის.. რიტუალის ეს ნაწილი იდენტიფიცირდება ისეთ პერსონასთან, ვინც შეძლებს ჩანვდეს ცნობიერსაც და არაცნობიერსაც. ტექსტში რიტუალი აღწერილია პილი-პილისა და *ქურღარას* ერთობლივი ექსტაზით, რაც საბოლოოდ ტრანსში გადადის.

**ინანა მეცხრე ცაზე**, მიუხედავად სათაურისა, ეს პოემა ეხება კონკრეტულ ფაქტს, რომელიც ენხედუანას გადახდა. პოემაში „ინანა და ებიხი“ ენხედუანა არ ახსენებს თავის სახელს, ადიდება ინანას, როგორც მომღერალი. ფინალში ენხედუანა თავს აიგივებს ნისაბასთან, როგორც მწერალი, რადგან ნისაბას<sup>2</sup> შუმერულ მითოლოგიაში დამწერლობის შექმნა და მფარველობა მიეწერებოდა. პოემაში „ქალბატონი-სამყაროს გული“ ენხედუანა თავს წარადგენს სახელით. თუმცა ხსენებულ ორ პოემაში მთავარი გმირი ქალღმერთი ინანაა. ხოლო „ინანა მეცხრე ცაზე“, მიუხე-

---

<sup>1</sup> Deitz Otto Edzard, Zur Ritualfel Der Son. Love Lyrics, Journal of the American Oriental Society (AOS) 67; 1987,58.

<sup>2</sup> **ნისაბა** – მოსავლიანობის და მარცვლეულის ქალღმერთი, ასევე დამწერლობის მფარველი ქალღმერთია.

დავად სათაურისა, მოგვითხრობს ენხედუანას ცხოვრების კონკრეტულ ფაქტზე: თუ როგორ შეიჭრა ტაძარში ვინმე ლუგალანე, როგორ გააძევა ენხედუანა ტაძრიდან. აქ ასახული უნდა იყოს ისტორიული ფაქტი: აქადის მეფე ნარამსინის წინააღმდეგ ქ. ურუქის აჯანყება ლუგალანეს მეთაურობით. ეჭვგარეშეა, რომ ეს ისტორიული ფაქტი უნდა გავაიგივოთ პოემის ლუგალანესთან, რომელმაც ენხედუანა მთვარის ტაძრიდან გააძევა. პოემაში ენხედუანა შველას თხოვს ინანას. სიტყვასიტყვით „მე ვშვი შენი აღზევება, ჩემო დედოფალო“. ის ხმარობს მეტაფორას, რომელიც იხმარება სამყაროს შექმნის სხვა ტექსტებში. ენხედუანა ამბობს, რომ ის ესაუბრება თავის ქალღმერთს ღამით, იმ დროს სამყარო რომ ჩაისახა. აქ გვხვდება შესაქმის მითის უნიკალური აღწერა, როცა პოეტი თვითონვე მონაწილეობს შესაქმის აქტში, რასაც პარალელი არ მოეპოვება შუამდინარულ ლიტერატურაში. პოემის ტექსტში ნათქვამია, რომ ლუგალანე ენხედუანას აძლევს სატევარს, რაც მსახურ ქურღარას ეჭირა, ანუ ამცირებს მის უზენაესობას და საბოლოოდ გააძევებს ტაძრიდან. ენხედუანას აღარ შეესვლება თავის გიპარში. ლუგალანეს სურდა ქ. ურუქი გამოეხსნა სარგონის იმპერიიდან. ენხედუანა, რომელიც ქურუმი იყო ურში და, შესაბამისად, მსახურებას აღავლენდა ქ. ურუქის ტაძარშიც, ორივე ტაძრიდან გაძევებულ იქნა მეამბოხის დამარცხებამდე.

ენხედუანას ცხოვრების აზრი ინანას სიყვარული და თაყვანისცემა იყო. ის თავიდანვე ინანას ბავშვი იყო. ასურულ პერიოდიდან (ძვ.წ. II ათასწ. II ნახევარი) სამეფო ოჯახში დაბადებული ბავშვების აღზრდა ხდებოდა ინანას ტაძარში.

ჩვენ მიერ წარმოდგენილ პოემებში ჩანს ინანას ორი ასპექტი – უზენაესი ქალღმერთის და ენხედუანას სულიერი ცხოვრების მთავარი ნაწილის, რისთვისაც ენხედუანა მთელ ცხოვრებას უძღვნის და მადლიერია.

და კაცობრიობაც მადლობას უძღვნის ენხედუანას, ინანას სულის ნაწილს, რომ მან, ურის დიდმა ქურუმმა, დაგვიტოვა ასეთი საჩუქარი, რასაც ენხედუანას პოეზია ქვია.

თარგმანი შესრულებულია ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორის ჯერემი ბლექის ტრანსლიტერაციით, ასევე გამოყენებულია ტექსტების კომენტარებიანი ვარიანტი კემბრიჯის უნივერსიტეტის პროფესორის ნიკოლას პოსტგეიტის უშუალო დახმარებით და მისივე ფასდაუდებელი რჩევებით.

**ლექსიკონის შედგენაზე ასევე მუშაობდა თსუ ასირიოლოგიის მიმართულების დოქტორანტი ნინო არსანისი, რისთვისაც მადლობას ვუხდით.**

[ ] – აღნიშნავს ტექსტის აღდგენას

*italics* – ტექსტის პირობითი თარგმანი

( ) – დამატებითი განმარტება თარგმანში

sagkal – როდესაც არ არსებობს თარგმანი

ჭ – შ;

ჭ – ნგ

ქ – ხ, (ქა šur – ხაშური)

